ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N82/გ

ქ. მცხეთა

04 ივნისი 2014 წელი

ერთის მხრივ, მცხეთის მუნიციპალიტეტი, შემდგომში „შემსყიდველი", საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის გიორგი ატაშვილის სახით და მეორეს მხრივ, ი/მ „ლალი ბიჩნიგაურის" სახით, შემდგომში „მომწოდებელი", ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე; (წარმომადგენლობითი ხარჯი).

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ლიტვის რესპუბლიკის ქალაქ თრაკაის მერის 2014 წლის 17 აპრილის NMP3-102 წერილის (მოწვევის) საფუძველზე „თრაკაის 2014 ზაფხულის ფესტივალზე" ვიზიტისთვის სუვენირების შესყიდვა. (CPV92300000).

2. საქონლის მიწოდების ვადა და ღირებულება

2.1 საქონლის მიწოდების ვადაა 2014 წლის 05 ივნისი.

2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება 342 (სამასორმოცდაორი) ლარი.

3. ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

4 მხარეთა უფლება – მოვალეობები

41 „მომწოდებელი" კისრულობს ვალდებულებას:

4.1.1 მიაწოდოს მაღალი ხარისხის საქონელი ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში.

4.2 „შემსყიდველი" კისრულობს ვალდებულებას:

4.2.2 უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა გაწეული მომსახურების მიხედვით.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

5.1 თუ „მომწოდებელი" არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, „შემსყიდველი" წერილობითი ფორმით აფრთხილებს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.

5.2 ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველს" უფლება აქვს განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.

5.3 შესყიდვის არაჯეროვნად ან არშესრულების და ვადაგადაცილების შემთხვევაში „შემსყიდველი" უფლებამოსილია „მომწოდებელს" არ აუნაზღაუროს მისაწოდებელი საქონლის ღირებულება და დააკისროს პირგასამტეხლო მისაწოდებელი საქონლის ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

6.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

7.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ფორს – მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შესრულება გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
9.2 თუ „მიმწოდებელი" და „შემსყიდველი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ შესძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. სხვა პირობები

10.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
10.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.
10.3 ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

11 ხელშეკრულების პირობების კონტროლი

11.1 ხელშეკრულების პირობების კონტროლს განახორციელებს მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მატერიალურ ტექნიკური სამსახურის უფროსი კახაბერ ბურდული.

12.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2014 წლის 30 ივნისის ჩათვლით.

13. მხარეთა რეკვიზიტები

„მომწოდებელი"	„შემსყიდველი"
ი/მ „ლალი ბიჩნიგაური"	მცხეთის მუნიციპალიტეტი
ს/კოდი: 31001016670	ს/კოდი: 236094196
ბანკი: „ლიბერთი ბანკი"-ს	ბანკი: „ლიბერთი ბანკი"-ს
მცხეთის ფილიალი	მცხეთის ფილიალი
ბ/კ LBRTGE22	ბ/კ LBRTGE22
ა/ა GE12LB0112113165310000	ა/ა GE93LB0120130269077000
მის: მცხეთა, აღმაშენებლის ქ. №57	მის: ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. #7
ინდ/მეწარმე	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე
ლ. ბიჩნიგაური	გ. ატამკული